

# სტიქიური უბედურების გამო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვრის თარიღად 17 ივნისის ნაცვრად 1 ივრისი განისაზღვრა



თ  
ბ  
ი  
რ  
ი  
ს  
შ  
ი  
მ  
ო  
მ  
ს  
დ  
ა

რი სტიქიის გამო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვრის თარიღად 17 ივნისის ნაცვრად 1 ივრისი განისაზღვრა. ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვიდმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს საერთაშორისო ხერშეკრუდებებით აღებული აქვს ვარდებულება, რომ მიმდინარე წრის 17 ივნისს ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. ამისთვის ეკონომიკის სამინისტრომ და ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან ერთად ძარიან დიდი სამუშაო გასწიეს.

“მთერი ინფრასტრუქტურა შექმნილია და ქვეყანა მზადაა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. თუმცა მიმდინარე სტიქიურ მოვრენებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, არ შეგვექმნა

დამატებითი დისკომფორტი ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელმაც ისედაც უდიდესი სტრესი განიცადა. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვრის თარიღად 17 ივნისის ნაცვრად ავილოთ 1 ივრისი, რათა ორი კვირა გავიდეს საიმისოდ, რომ ქვეყანა გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან, საგანგებო რეჟიმიდან და უფრო დამშვიდებულ რეჟიმიში მოხდეს აღნიშნული პროცესის განხორციელება. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის თბილისიდან ვიწყებთ, თუმცა ეს იქნება არა 17 ივნისს, არამედ, სავარაუდოდ, 1 ივრისს. მანამდე გაკეთდება კიდევ რამდენიმე განცხადება იმისათვის, რათა მოსახლეობამ შეძლოს უკეთ მომზადება და სეთ-თოფ-ბოქსის შექენა, რაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვრედადაა აუცილებელი”, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვირმა.

---

## ბანანის ექსპორტს კრიზისი მოედის?

**ობის სოკომ Fusarium დაავადა აზიისა და აფრიკის ბანანის პრანტაციები, სურ ახდახანს კი ავსტრალიაშიც იჩინა თავი.**

**ბანანის ინდუსტრია პანიკაშია – პრობლემა ხომ მან თვითონ შექენა.**

1950 წერს ამ დაავადებამ სრულიად გაანადგურა ბანანის სახეობა გრო-მიშერი. ამის შემდეგ რიდერის პომიცია დაიკავა სახეობამ კავენდიშიმა, რომერიც ახრა მასიურად იყიდება მსოფრიოს მასშტაბით. ეს სახეობა საშუადრებას იძრევა მოიკრიფოს ადრეულ ეტაპზე და სრულ დამწიფებას მხოლოდ დანიშნურების ადგირზე მიაღწიოს. ასეთი აგროპოლიტიკა, სამწუხაროდ მხოლოდ ბანანებს არ ეხება – ფერმერები მასიურად ირჩევენ იმ ჯიშებს, რომრებიც უკეთესად ერგებიან სავაჭრო პირობებს. მაგრამ მონოკულტურების მოყვანა მათ პოპულარიზაციას უდიდეს საფრთხეს უქენის იმის გამო, რომ ისინი მაღარსპეციალიზირებული დაავადებების გადადების დიდი რისკის ქვეშ არიან.

“მეოთხე ტარლის პანამის დაავადება” (Panama disease Tropical Race 4) – ასე ეწვიან ამ საშინელ დაავადებას. ობის სოკოს შტამი *Fusarium oxysporum*, რომელიც კავენდიშის ჯიშის ბანანებს ანადგურებს, განსხვავდება იმ შტამისგან, რომელმაც თავის დროზე გრო–მიშერი გაანადგურა; ამ დროის მანძილზე მიკრობმა მუტაცია განიცადა და მისგან დამცავი სისტემების გადაღახვა მოახერხა. მისი სპორები ადვილად ვრცელდება ადამიანის მიერ – ფეხსაცმლის ძირზე, ტრაქტორის ბორბალებზე და სატრანსპორტო კონტეინერებზე. ამის გამო კი ისინი ყველგან აღწევენ.

დაავადებურ მცენარეს ფოთლი უყვითლდება, კარგავს წყარს და ხმება; ამით მცენარე სიცოცხლისუნარიანობას კარგავს და რბობის პროცესი ვითარდება. პარმის განკურნების საშუალება არ არსებობს, ხოლო დაავადება ძაღზე სწრაფად ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ აფრიკისა და ორივე ამერიკის მსხვილ პლანტაციებზე *Fusarium* ჯერ არ აღმოჩენილა, ექსპერტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია. ამ დროს კი ბიოლოგები წინააღმდეგობის გაწევის მეთოდებს აქტიურად ეძებენ, რათა მსოფლიომ თავიდან აიცილოს ბანანების კრიზისი.

---

<b><u>საქართველოში</u></b>	<b><u>პირდაპირი</u></b>
<b><u>უცხოური</u></b>	<b><u>ინვესტიციების</u></b>
<b><u>რაოდენობა</u></b>	<b><u>34 პროცენტით</u></b>
<b><u>შემცირდა</u></b>	

---

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) წინასწარი მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 34 პროცენტით შემცირდა. საქსტატმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ 2015 წლის პირველი კვარტლის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. რომლის თანახმად, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საანგარიშო პერიოდში 175 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის I კვარტლის წინასწარ მონაცემებზე სწორედ 34 პროცენტით ნაკლებია.

ამავე ცნობით, 2015 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტული სტრუქტურის მიხედვით, პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი 34, მეორეზე თურქეთი – 15, ხოლო მესამეზე რუსეთი – 13 პროცენტით.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 146 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 83 პროცენტია. მეორე ადგილზეა მშენებლობა 24 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – სამთმომპოვებითი მრეწველობა 18 მილიონი აშშ დოლარით.

---

## **ბურა ჯაფარიძე ეროვნული ბანკის გაუქმების ინიციატივით გამოდის**

ახარი პოლიტიკური ცენტრი ეროვნული ბანკის გაუქმებისა და მის ნაცვლად, სავაღუტო საბჭოს შექმნის ინიციატივით გამოდის. როგორც ღღეს გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ხსენებული ცენტრის წევრმა ბურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, სავაღუტო

საბჭოს ეროვნულ ბანკზე გაცილებით შეზღუდული ფუნქციები ექნება.

“სავაღუტო საბჭოს სისტემა პრინციპულად განსხვავებულია. ცენტრალურ ბანკს ძალიან ბევრი ფუნქცია და მოვალეობა აქვს – ის მართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას და აქვს ამის შესაბამისი ბერკეტები. სავაღუტო საბჭო სხვა ტიპის სტრუქტურაა, რომელსაც ამდენი ფუნქცია არ აქვს. ის სავაღუტო პოლიტიკას პრაქტიკულად არ ატარებს, შეზღუდულია. მას არ შეუძლია, გამოიწვიოს ქვეყანაში ინფლაცია, როგორც ეს შეუძლია ეროვნულ ბანკს, რადგან ის ახდენს დარის გამოშვებას მიმოქცევაში და აქვს სხვა ბევრი ფუნქცია, რომელიც სავაღუტო საბჭოს უბრალოდ, არ გააჩნია”, – აღნიშნა ბურაბ ჯაფარიძემ.

ბურაბ ჯაფარიძის თქმით, დარის სტაბილურობის მისაღწევად რეფორმა უნდა გატარდეს.

“რეფორმის შედეგად მივიღებთ იმას, რომ დარის გაუფასურების რისკები ნულამდე დავა. მოქალაქეებს უცხოურ ვაღუტაში გამოტანილი სესხი აღარ გაუძვირდებათ და დარში გაკეთებული დანაზოგი აღარ გაუუფასურდებათ. ვისაც დარში ფიქსირებული ხედფასი აქვს, შემოსავალი აღარ შეუმცირდება. დაიკრებს საპროცენტო განაკვეთები საბანკო სესხებზე, ვეღარ მოხდება მთავრობის მხრიდან პროდუქტებზე ხედოვნურად ფასების ზრდა, ხედი შეეწყობა ინვესტიციების შემოსვლასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას”, – განაცხადა ბურაბ ჯაფარიძემ.

---

## **ტურისტების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მარცვლებედთან შედარებით 3%-ით შემცირებულია**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული ვიზიტორების შესახებ 2015 წლის მაისის ინფორმაცია

## **გამოაქვეყნა .**

შსს-ის ინფორმაციით, 2015 წლის მაისის თვე 454 545 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 14,7 %-ით მეტია. რაც შეეხება იანვარ-მაისის ინტერვალს, როგორც შსს-ში აცხადებენ, ქვეყანაში უკვე 1 835 545 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე 2%-ით მეტია.

ამასთან, შემოდებური პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

- ა) ტურისტი – 656 068 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 35,7%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3%);
- ბ) ტრანზიტი – 405 208 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22,1%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 21%);
- გ) სხვა – 774 269 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 42,2%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -1,3%).

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, 2015 წლის მაისშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვდავ თურქეთიდან (+0,5%), აზერბაიჯანიდან (+8,7%), სომხეთიდან (+33%), რუსეთიდან (+42,5%) და უკრაინიდან (-5,8%) განხორციელდა. ასევე, პოპულარული ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მაისშიც გამოირჩნენ რიტვა, გერმანია, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები (შესაბამისად 44%, 27%, 26%, 24% და 14%), შუა აზიის ქვეყნებიდან უზბეკეთი (104%) და ყაზახეთი (29%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელარუსიის და მოლდოვას მოქალაქეები 42% და 43%—იანი, ხორვ ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან – არაბათა გაერთიანებული საემიროები 639 %-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 15%-იანი ზრდა.

---

# გიორგი აბაშიშვიდი: ეკონომიკა თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისაგან

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგიდემ, პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვიდმა ეროვნული ბანკისათვის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეკონომიკა უნდა იყოს თავისუფალი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და გავრენისაგან.

“საკვირველია რატომ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული, რა ეკონომიკური მოტივები არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საბანკო სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფერო საქართველოში; სფერო, რომელმაც გაუძლო არაერთ გარე დარტყმას, მათ შორის 2008-2009 წლებში ორმაგ ეკონომიკურ კრიზისს და ჩვენ დღეს გარკვეული ცვლილებებით საბანკო სისტემასთან მიმართებაში შესაძლოა ამ სექტორის რყევის სერიოზული ნიშნები შევქმნათ. თუ ვინმეს ეკონომიკური რეფორმების განხორციელება უნდა – რატომ იწყებს ამას იმ სფეროდან, რომელსაც ამ ეტაპზე რეფორმები არ სჭირდება? რატომ ვაპირებთ ვუმკურნალოთ დარგს, რომელსაც ამის საჭიროება არ აქვს? ჩვენ შეგვიძლია სხვა მიმართულებით განვახორციელოთ ეკონომიკური რეფორმები, თუკი ამის ნება არსებობს. მეტიც, ძალიან ძნელია გავიხსენოთ თუნდაც ერთი განცხადება კომერციული ბანკების მხრიდან, რომელიც შეეხებოდა ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისადმი გარკვეული ტიპის შენიშვნებს; და კიდევ, საერთაშორისო სავაღუტო ფონდის ერთ-ერთი ბოლო ანგარიშის თანახმად ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობა შეფასებულია ძალიან პოზიტიურად.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და შესაბამისად, ვთვლით, რომ ეკონომიკა თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისაგან;

პოლიტიკური თამაშები ეკონომიკაში არ შეიძლება; ეს ავნებს ეკონომიკას. პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად აისახება ბიზნესგარემოზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსგავსი გადაწყვეტილებებით”, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

როგორც პრეზიდენტის მრჩეველი აღნიშნა ეროვნული ბანკისათვის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევა საპრეზიდენტო ინსტიტუტის, საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური ფუნქციების ფაქტობრივი სხვადასხვა კანონებით შესუსტების მცდელობაა.

„როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატებს; შემდგომ ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და აღნიშნული გადაწყვეტილება და ინიცირებული ცვლილებები იმავედროულად წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტისა და მთლიანობაში პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური ფუნქციების სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებით ფაქტობრივი შესუსტების კიდევ ერთ მცდელობას“, – აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

---

## **ბუნებრივი აირის გაძვირებაზე ენერგეტიკის მინისტრმა კომენტარი გააკეთა**

ენერგეტიკის მინისტრის ვახი კარაძის თქმით, პირველი მაისიდან იურიდიული კომპანიებისთვის ბუნებრივი აირზე გადასახადი არ გაიზრდება.

ამის შესახებ კარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

“ენერგეტიკის ტარიფს რაც შეეხება მარეგულირებელს სექტემბრამდე აქვს ვადა შეისწავლოს, დათვაროს საკითხი და შესაბამისად ეს სემეკის კომპეტენციაა და არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს, არც მთავრობას და არც რომელიმე დაჯგუფებას“, – ამბობს



## ბიუჯეტის დეფიციტი 3.5%-მდე გაიზარდა, მთავრობის ვარი კი 43%-ს გადააჭარბებს - ჯაფარიძე

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრმა ბურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ი, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უარყოფით პროგნოზს აკეთებს. ჯაფარიძის თქმით, წერს მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ გაუარესდეს და დაასახედა კონკრეტული სფეროები, სადაც მდგომარეობის გაუარესება არის მოსალოდნელი.

“როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა საქართველოს რეიტინგი გააუარესა – BB- პოზიტიურიდან, რეიტინგი შეიცვრა BB- ს ტაბიღურად.

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რა მოლოდინებია გაცხადებული fitch-ის მიერ საქართველოს წრეგანდერ ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში. Fitch-ი ედის, რომ წერს:

საქართველოს სავალუტო რეზერვები 2.5 თვის იმპორტის ზღვარს ქვემოთ იქნება

ექსპორტი შემცირდება 20%-ით

მიმდინარე ანგარიშიც დეფიციტი გაიზარდა მშპ-ს 9-დან 14%-მდე

წმინდა საგარეო ვარი გაიზარდა მშპ-ს 58-დან 80%-მდე

ეკონომიკური ბრდა შემცირდება 2%-მდე

ერთ სურ მოსახლეზე მშპ შემცირდება 3,623 ლორარიდან 2,923 ლორარამდე (700 ლორარით ნაკლები)

ეს ნიშნავს, რომ მსყიდველუნარიანობის გათვარისწინებით, ერთ სურ მოსახლეზე მშპ დაახლოებით შემცირდება 7,666 ლორარიდან 6,209

დღარამდე (1,456 დღარით ნაკლები)

ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა 3.5%-მდე

მთავრობის ვარი გაიზარდა 43%-ზე მეტით

როგორც ვხედავთ, წელს მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება. ჩვენ ამის შესახებ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2 წლის წინ – რომ თუ არ მოხდებოდა გააზრებული ცვლილებები ეკონომიკურ პოლიტიკაში, ეს აუცილებლად დასრულდებოდა უარყოფითი შედეგებით საქართველოს მოქალაქეებისთვის.

სამწუხაროდ დღეს ამას უკვე აცხადებს და ადასტურებს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო. დღეს ჩვენ ვხედავთ რომ ხელისუფლება კვლავ იმყოფება სირაქდემას პოზიციაში და კოსმეტიკური ქმედებებით ცდილობს შექმნილი ვითარების გადაფარვას.

საჭიროა ბევრად რადიკალური ნაბიჯების გადადგმა: გადასახადების შემცირება, მთავრობის ხარჯების შემცირება და რეგულაციების გაუქმება. თუმცა, ამ ხელისუფლებას მსგავსი რეფორმების გატარებისთვის საჭირო არც კომპეტენცია აქვს და არც პოლიტიკური ნება, ამიტომ ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.”

---

## იაპონიის მთავრობამ მეორე მსოფლიო ომში თავისი ქმედებების გამო ბოდიში მოიხადა

“ოფიციალური ტოკიო მეორე მსოფლიო ომში ჩადენილი ქმედებების გამო ღრმა სინანულს განიცდის და ბოდიშს მოიხდის ” , – განაცხადა იაპონიის პრემიერ მინისტრმა სინძო აბემ ჯაკარტაში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმდინარე სამიტზე სიტყვით გამოსვლის დროს.

“ჩვენ მშვიდობიანი სახელმწიფოს პრინციპებს ვემხრობით. ამიერიდან იარაღის უკონტროლო გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს.” – აღნიშნა პრემიერმა.

იაპონია აზიისა და აფრიკის ქვეყნებისთვის 350 ათასი სპეციალისტის მომზადების პროგრამაში აპირებს ჩართვას, რადგან ამ ქვეყნების უმეტესობა დღეს იაპონიის ეკონომიკური პარტნიორია. “ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა გააძლიერებს და დააჩქარებს ამ ორი რეგიონის განვითარებას”, – მიაჩნია ქვეყნის პრემიერ მინისტრს სინძო აბეს. ბოლო 60 წლის მანძილზე აზიისა და აფრიკის ქვეყნებს ტოკიომ 300 მილიონ დოლარზე მეტი ეკონომიკური დახმარება გაუწია, ასევე 140 ათასამდე სპეციალისტი გააზავნა სხვადასხვა რეგიონში.

---

## მენარმე, რომლის ბრუნვაც წედს 25 პროცენტით შემცირდება, შესაძლოა, გადასახადებისგან გათავისუფლდეს

მენარმე, რომლის ბრუნვაც წედს 25 პროცენტით შემცირდება, შესაძლოა, გადასახადებისგან გათავისუფლდეს. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების ინიციატორი “ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა.” შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, სათანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ, საბოლოო ვარიანტის სახით ფინანსთა სამინისტროს გადაეცემა.

კანონპროექტის მიზანი მცირე მენარმეებისათვის ეკონომიკური

მდგომარეობის დროებით შემსუბუქებაა.

წარმოადგენიერ კანონპროექტზე პარლამენტში მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ, რომ ინიციატორები საბოლოო ვარიანტს ფინანსთა სამინისტროსთან სათანადო კონსულტაციების გავრის შემდეგ წარმოადგენენ.

---